სტალინის სახე ქართულ „საბჭოთა ეროვნულ“ ნარატივში

მაია ქვრივიშვილი
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
E:mail: maia.kvrivishvili@tsu.ge
maiakvrivishvili@yahoo.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.43

„რასაც ჩვენ რეალურად მივიჩნევთ, სინამდვილეში ინტერპრეტაციის აქტი და პროდუქტია“[Assmann and Shortt, 2012; 4], ალეიდა ასმანის და ლინდა შორტის ეს სიტყვები ზუსტად ეხმიანება ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას, სტალინისადმი როგორც ქართული ეროვნული სიმბოლოსადმი ქართული საბჭოთა საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ეროვნული ცნობიერების ერთგვარ სიმბოლოდ იქცა სტალინი, რომლის შესახებ მითები მისსავე სიცოცხლეში შეიქმნა.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ, სტალინი ეტაპობრივად იმტკიცებდა საკუთარ ძალაუფლებას და ერთპიროვნული მმართველობის სისტემას აყალიბებდა. ტოტალიტარული რეჟიმი რომელიც მან შექმნა მუდმივად საჭიროებდა გამოცოცხლებას და მისი ქარიზმატული ლიდერის, ანუ სტალინის ირგვლივ ახალ-ახალი ნარატივების შექმნას [ნიჟარაძე; 1999: 213-215] „ხალხთა მამის“, „დიდი ბელადის“ თანადროულად სტალინის როგორც „დიდი ქართველის“ ტიპაჟის ჩამოყალიბებაც დაიწყო, ეს იყო მისი საბოლოო ლეგიტიმაციისთვის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი. იწყება იოსებ სტალინის, როგორც ქართული ეროვნული იდეის, მისი ქართული იდენტობის მარკერად სიბოლიზირება. მასზე იქმნება უამრავი მხატვრული - პროზაული თუ პოეტური ნაწარმოები, ფერწერული ტილო და სკულპტურა, მისსავე სიცოცხლეში და შემდგომ იღებენ ფილმებს, იწერება არაერთი საისტორიო ნაშრომი. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ალბათობით იგი თავადვე მონაწილეობდა მის შესახებ ამბების შექმნაში. ნარატივებში სტალინი მოიაზრება როგორც ქართული ეროვნული ხასიათის და სულის საუკეთესო გამოვლინება და სიმბოლო. სტალინის შესახებ ბევრი მითია შექმნილი, რომელსაც რეალობისგან ძნელად თუ გაარჩევ, მაგრამ საბჭოთა ქართველისთვის და ზოგადად სტალინისტებისათვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

ნარატივებით ხდება მისი დაკავშირება ქართულ იდენტობასთან. 1921 წლის საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის „წყალობით“ დაკარგული დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა მოითხოვდა ერთგვარ კომპენსაციას. სტალინის ცნობილი გამოთქმა „ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური“ შემდგომი საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის მთავარი იდეოლოგიური თეზა გახდა. ქართული იდენტობის მარკერები, რომელიც XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დროის გამოწვევების შესაბამისად ჩამოყალიბდა და როგორც ცოცხალი კონსტრუქცია მიდმივად ცვლილებებს განიცდის. ილია ჭავჭავაძის პერსონა საქართველოს ახალი დროის ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანია. ილიას სიცოცხლეშივე სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება იყო მის მიმართ, რაც ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე მრავალფეროვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური იდეოლოგიებით იყო გამოწვეული. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენში

გამოჩენილმა მარქსისტულმა მოძღვრებამ ისედაც არაკონსოლიდირებული ქართული საზოგადოება უფრო მეტად დაუპირისპირა ერთმანეთს. ილია ჭავჭავაძე და მისი შეხედულებები ეროვნული საკითხისადმი განსაკუთრებით მარქსისტებისათვის იყო მიუღებელი. წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ილია ჭავჭავაძის დისკრედიტაცია სოციალ-დემოკრატების მიერ. შესაბამისად არც პირველ რესპუბლიკაში იყო იგი პოპულარული და სასურველი იდეოლოგი თუ საზოგადო მოღვაწე [ჯონსი: 2007]. პარადოქსია, მაგრამ რუსული საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ იწყება ამ მოცემულობის შეცვლა-ილიას ერთგვარი რეაბილიტაცია [კაკიტელაშვილი, ჩხაიძე: 2022; 26-27], რაც სტალინის საბჭოთა ნაციონალურ პოლიტიკასთანაა დაკავშირებული.

საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა მიმართული იყო საერთო იდენტობის და დიადი სოციალისტური ერის შექმნისკენ. ქართული საბჭოთა კულტურა ერთი მთლიანი საბჭოთა კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო, შესაბამისად, ქართული საბჭოთა იდენტობა და მისი ფორმირება მჭიდროდ უკავშირდება ერთიანი საბჭოთა იდენტობის ფორმირებას. ერთიანი საბჭოთა იდენტობის პოლიტიკა ორი ძირითადი მიმართულებით ვითარდებოდა: სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული, ეს ორი ძირითადი მიმართულებაა რომელიც ქმნიდა საბჭოთა იდენტობის ნარტივებს. ამ კუთხით ხდება ილია ჭავჭავაძის შემოქმედების თუ მოღვაწეობის განხილვა და ერთგვარი რეაბილიტაცია [კაკიტელაშვილი, ჩხაიძე: 2022; 33-36, 42-44]. იქმნება ნარატივები ილიას შესახებ: ილია რეალისტი, სოციალური თანასწორობისსათვის მებრძოლი და დამცველი. უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი საბჭოთა იდენტობის საფუძველს წარმოადგენდა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია და შესაბამისად, ისტორიული მატერიალიზმი. ერთიანი საბჭოთა იდენტობის ფორმირებას პოლიტიკური მეცნიერებების "ენაზე" შეიძლება, ვუწოდოთ სახელწიფოს ტრანსფორმაცია (Bourdieu). საბჭოთა კავშირის ისტორია იქმნებოდა იმისთვის, რომ საბჭოთა სისტემის იდენტობის ლეგიტიმაცია მოეხდინათ. პარალელურად "იქმნებოდა" საერთო კოლექტიური მეხსიერება თავისი ნარატივებითა და იდენტობის მარკერებით საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ეროვნული, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ერთეულებისთვის.

ილიამ და მისმა თანამოაზრებმა შექმნეს ახალი ქართული იდენტობის მარკერები, რომლებიც საერთო და მისაღები იყო, როგორც ბენედიქტ ანდერსონი იტყოდა „წარმოსახვითი საზოგადოების" წევრთა უმრავლესობისათვის: ენა, ტერიტორია, ისტორიული მეხსიერება, ეროვნული გმირები და ისტორია, საერთო კულტურა და ღირებულებები, და მომავალი [ქვრივიშვილი: 2006].

ზოგადად იდენტობის ჩამოყალიბებაში დიდ როლს წარსული თამაშობს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ერის მეხსიერებას. მეხსიერებას კი აქვს სოციალური ბუნება, იგი ცვალებადი და დინამიურია და ნარტივების საშუალებით იძლევა საინტერესო ინტერპრეტირებისა და რეპრეზენტაციის საშულებას.

როგორც ჯეიმს ვერჩი ამბობს ნარატივის ნიმუშები ეს ის ინტერპრეტაციული ჩარჩოა, რომელიც ძლიერად ზემოქმედებს ერთობის წევრთა ფიქრისა და ლაპარაკის სახეზე [Wertsch : 2012; 177]. ნარატივები იქმნება იდენტობის ან ლეგიტიმაციის მიზნებისთვის. ამ ნარატივებს შეუძლიათ გაერთიანების როლის შესრულება, ისინი ასევე ხელს უწყობენ წარსულის გარკვეული ეპიზოდების შერჩევას, გამოტოვებას ან ტრანსფორმაციას იდეოლოგიური, პოლიტიკური ან კულტურული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. საბჭოთა იდენტობას მთლიანად უნდა მოეცვა ყველა ის მარკერი, რომელიც ქართული საზოგადოებიასთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო: ენა, კულტურა, ტერიტორია, ისტორიული მეხსიერება, საერთო გმირები, ლიტერატურა, ღირებულებათა სისტემა და ა.შ. როგორც აღვნიშნეთ რუსული საბჭოთა ოკუპაცა-ანექსიის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობა იყო ის მნიშვნელოვანი მოვლენა თავისი სიმბოლოებით, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა საბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდასთან. საბჭოთა ხელისუფლება ეტაპობრივად იწყებს საქართველოს საბჭოურ ყაიდაზე მოწყობას და იდენტობის ყველა გამოვლენის ერთგვარ მითვისებას. სტალინისადმი ქართველების განსაკუთრებულილ

დამოკიდებულება მისი ეთნიკური კუთვნილებითაა გამოწვეული, ამ ფაქტორმაც განაპირობა საბჭოთა კავშირისადმი ნოსტალგიური დამოკიდებულება პოსტსაბჭოთა ეპოქაში [ნიჟარაძე; 1994] ქართული საბჭოთა იდენტობის შექმნაში აქტიურად მონაწილე იდენტობის ნარატივები სტალინის შესახებ.

სტალინისთვის ერთგვარ ლეგიტიმაციის საშუალებად იქცა საკუთარი თავის ეროვნული კუთხით წინ წამოწევა (ქართველების დასანახად. ავტორი) რითაც ერთგვარად ითრგუნებოდა საოკუპაციო რეჟიმისადმი ხალხის წინააღმდეგობა, რა თქმა უნდა, რეპრესიების ფონზე. სტალინის სახელი უკავშირდება-ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს და დედა ენას, ასევე ქართულ ენას, შოთა რუსთაველს, ეკლესიას, ისტორიულ მეხსიერებას და მომავალს (ზოგადად კომუნიზმია მომავალი სამოთხე, რომელსაც ბელადი პირდება ხალხს). ეს ყველაფერი მითოლოგიზირებულია და ის ნარატივები, რომლებიც მას განსაკუთრებულ ქართველად წარმოადგენს რეალობისგან შორსაა. ამ პროცესში განსაკუთრებით აქტიურ როლს თამაშობს როგორც მხატვრული ლიტერატურა და კინემატოგრაფი, ასევე მხატვრობა.

სტალინის ხატის შესაქმნელად, მის დადებით კონოტაციაში აღსაქმელად გამოიყენეს ფაბრიკაციის, მანიპულაციისა და უბრალოდ ისტორიულ ფალსიფიკაციის ყველა მეთოდი, ეს ნარატივები რეალურად და სასურველად მიიღო/მიაღებინეს საზოგადოებას, რაც კულტურული ტრამვადაც შეიძლება მივიჩნიოთ. მითოლოგიზირებული წარმოდგენა/რეპრეტენზირება მომგებიანი და შედეგიანია.

1954 წელს, ლევან ასათიანის ავტორობით გამოცემულ „სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები. ნარკვევები“, ავტორი განსაკუთრებულ თარიღად მიიჩნევს 1895 წლის 14 ივნისს. დღეს, როდესაც სტალინის ლექსი „ივერიაში“ დაიბეჭდა. მას ეს თარიღი ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისათვის განსკუთრებულ დღედ მიაჩნია. წიგნის ერთ-ერთ თავს „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან“ ჰქვია. ავტორი წერს: „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში სამახსოვრო თარიღად რჩება 1895 წლის 14 ივნისი. ამ დღეს გაზეთ „ივერიაში“, რომელსაც რედაქტორობდა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, გამოქვეყნდა ჭაბუკ იოსებ ჯუღაშვილის პირველი ლიტერატერული ნაწარმოები ლექსი „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი...“ საინტერესოა ვნახოთ, რას წარმოადგენს თვითონ ის ნომერი „ივერიისა“, სადაც პირველი გამოვლინება ჰპოვა გენიოსი ჭაბუკის ყმაწვილურმა აღმაფრენამ, მისმა ფიქრმა და გრძნობებმა, ლაღმა ოცნებამ სამშობლოს ნათელ მომავალზე“ [ასათიანი: 1954: 195]. სოციალისტი ავტორისათვის გაზეთის დანარჩენი თემატიკა სრულიად უმნიშვნელოა, თუნდაც სოციალურ თემაზე დაწერილი მწვავე და კრიტიკული წერილები. ამ ნომერში უმნიშვნელოვანესია სოსელო-სტალინის საკითხი, როგორც სამშობლოზე მოფიქრალი შვილის. ამ მოვლენით განსაკუთრებით აქტიურად აპელირებენ სტალინის ქართველობის და ეროვნულობის იდეის მომხრეები, იწყება სტალინის და ილიას განსაკუთრებული დამოკიდებულებების ნარატივების შეთხზვა. სტალინი ხდება ილიას ლექს „ბაზალეთის ტბა“-ს მთავარი პერსონაჟი, მითიური ყრმა, რომელიც საქართველოს მომავალი მხსნელია. მოგვიანებით ჩნდება უჩა ჯაფარიძის საინტერესო ფერწერული ტილო „იაკობ ჯუღაშვილი და ილია ჭავჭავაძე ივერიის რედაქციაში“, რომელიც ამჟამად გორში სტალინის სახლ-მუზეუმში ინახება. ამ ფერწერულ ტილოზე გამოსახულია ახალგაზრდა სტალინი (სოსელო), რომელიც გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში საკუთარ ლექსს უკითხავს ილია ჭავჭავაძეს, კედელზე კი რუსთაველის პორტრეტი ჰკიდია. ეს სურათი, შეიძლება ითქვას, ყველაზე ზუსტად ასახავს 1930-იანი წლებში მიმდინარე ქართული ეროვნული ნარატივის გასაბჭოურების პროცესს. აქ, ამ ფერწერულ ტილოზე სტალინის ფიგურა თავისი გამომხატველობით, თავისი სიუჟეტის გმირებითა და შინაარსით - სტალინი, ილია, შოთა რუსთაველი - ხდება თვისობრივად და ფუნქციონალურად ახალი ნარატივის შექმნა. ასევე საინტერესოა 1932 წელს მოსე თოიძის მიერ შესრულებული „ახალგაზრდა სტალინის პორტრეტი“. სურათზე გამოსახულია სტალინი, რომელსაც ხელში შოთა რუსთაველის

„ვეფხისტყაოსანი“ უჭირავს და კავკასიონის მთების ფონზე კითხულობს. ავტორის და ზოგადად ოფიციალური იდეოლოგიის მიზანია, რომ სტალინის ეს იკონოგრაფია განხილულ და გაგებულ იქნეს ნაციონალისტური რიტორიკის ნაწარმოებებად, სადაც ავტორი/ავტორები ცდილობენ სტალინს ქართული ეროვნული ღირებულებების კოორდინატთა სისტემის ვერტიკალში მიუჩინონ ადგილი.

იქმნება ერთგვარი მასტერნარატივი [Assmann, Shortt; 2022;16-17] ფართო კულტურული კონტექსტით, სადაც სტალინი უპირობოდ ქართული ეროვნული იდენტობის გამომხატველი და დამცველია. ა. ასმანისა და შორტის თანახმად, პოლიტიკური ტრანზიციის შემდეგ სახელმწიფოს მიერ დანერგილი ახალი ჩარჩო წარსულის რეკონსტრუქციისა და რეპრეზენტაციისთვის შეიძლება წინააღმდეგობაში აღმოჩნდეს მეხსიერების სხვა არსებულ ფორმებთან. ინდივიდუალური მეხსიერებანი ძნელი შესაცვლელია, ოჯახური მოთხრობები ხშირად გადაეცემა თაობიდან თაობას ზეპირი კომუნიკაციის გზით. ისინი შეიძლება თავსებადი ან არათავსებადი იყოს ოფიციალურ ნარატივთან, რომელიც ტრავმული მოვლენის შემდეგ იქმნება [Assmann, Shortt; 2022;4] სტალინის სახელს უკავშირდება იუბილეების გადახდა იმ ისტორიული პერსონების ვინც განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ან შეასრულა ქართველთა ეროვნული იდენტობის ფორმირებაში. სტალინმა მოახდინა მათი გასაბჭოურება და მათ გარშემო სტალინური ნარატივების ჩამოყალიბება. თავიანთი მასობრივი ხასიათით, ეს იუბილეები უზრუნველყოფდენ საბჭოთა კოლექტიური მეხსიერების ფორმირებას.

1937 წელს საქართველოსა და მთელ საბჭოთა კავშირში ზეიმით აღინიშნა გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსნის” 750 წლის იუბილე. “რუსთაველის გენიალური პოემა საბჭოთა ხალხის კუთვნილება გახდა. მრავალფერად მოელვარე ძვირფასი ქვა, რომელშიც ასახულია მესხთა ქვეყნის მცხუნვარე მზე, შეტანილია პოეზიისა და კულტურის ჩვენს საერთო საგანძურში, სადაც ჩაუქრობელი შუქით ბრწყინავენ ხალხურ გენიათა და ტალანტთა სახელები... ქართველი გენიოსის პოემა “ვეფხისტყაოსანი” თავისი შეუდარებელი მხატვრული ძალით, თავისი ღრმა იდეური შინაარსით, ეკუთვნის მთელ კაცობრიობას, ხოლო პირველ რიგში, მის მოწინავე რაზმს, საბჭოთა ხალხებს, სოციალიზმის მშენებელთ, სილამაზისა და სიმართლისათვის მებრძოლთ.” ეს არის ნაწყვეტი გაზეთ “პრავდის” 1937 წლის 26 დეკემბრის სტატიიდან, რომელიც ეძღვნებოდა “ვეფხისტყაოსნის” 750 წლის იუბილეს. 1937 წელს სტალინის მითითებით საქართველო ზეიმობს ილია ჭავჭავაძის 100 წლის იუბილეს, რითაც საფუძველი ეყრება ილია ჭავჭავაძის ოფიციალურ, თავად ბელადის მიერ შექმნილ ილია ჭავჭავაძის კულტს და, შესაბამისად, ამ პიროვნების იდეოლოგიური გაყალბების ტრადიციას. ზემოთთქმულის საუკეთესო ილუსტრაციაა საბავშვო-საყმაწვილო ჟურნალ „დილა“-ს 1947 წლის სექტემბრის მეცხრე ნომერი. ნომრის პირველსავე გვერდზე დაბეჭდილია სტალინის ლექსი „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“, რომელსაც ქვემოთ საინფორმაციო განმარტება აქვს: „ამხანაგი სტალინი ბავშვობიდან ბევრს კითხულობდა და სიყვარულს იჩენდა ლიტერატურისადმი, პოეზიისადმი. თბილისის სასულიერო სემინარიაში შესვლის შემდეგ, 1895 წელს, ამხანაგმა სტალინმა დასწერა რამდენიმე ლექსი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა თავის გაზეთ „ივერიაში“. 16 წლის სტალინის ლექსები დიდად მოსწონდა ილიას და თვალსაჩინო ადგილას, პირველ გვერდზე ბეჭდავდა მათ. ლექსები იბეჭდებოდა ი.ჯ-შვილის (ი.ჯუღაშვილი), ხოლო შემდეგ სოსელოს ფსევდონიმით და საყოველთაო მოწონებას იწვევდა. ამხანაგი სტალინის პირველი ლექსი 1895 წლის 14 ივნისს დაიბეჭდა „ივერიაში“. ეს ლექსი შეტანილი იქნა ი.გოგებაშვილის „დედა-ენაში“1916 წელს, ლექსი დაბეჭდილია სახელწოდებით „დილა“. ხაზგასმულია სტალინის და ილიას ურთიერთობა და სტალინისადმი მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება.

ჟურნალის შემდეგ გვერდზე შალვა ცხადაძის ნახატის „ქართვლის დედა“-ს სურათი და შემდეგ გრიგოლ აბაშიძის ლექსი „ქართვლის დედა“. მას მოსდევს უჩა ჯაფარიძს ცნობილი ტილო „სტალინის ილია ჭავჭავაძესთან გაზეთ ივერიის რედაქციაში 1895 წელს“,

შემდეგ დიდი ილიას შეახებ ბიოგრაბია. სიუჟეტი შეკრულია: სტალინი, ილია, შოთა, ქართვლის დედა, ნარატივი სტალინი მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართულ ეროვნულ ნარატივში დანარჩენ დიდ ქართველებთან და ეროვნულ ედეალებთან ერთად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ეროვნული ნარატივი დაუკავშირდა სტალინს, სტალინი კი რუსულ საბჭოთა იდენტობის ნარატივებს, ასე შეიქმნა ერთგვარი ჯადოსნური წრე, რამაც ნეგატიური როლი შეასრულა პოსტსაბჭოთა ეპოქაში. ქართული ნაციონალიზმი და იდენტობა, რომელიც XIX საუკუნეში ჩაისახა, ფუძემდებელი ილია ჭავჭავაძეა. ხოლო საბჭოთა პერიოდში მოხდა მისი ტრანსფორმირება არსებული რეჟიმის და ბელადის შესაბამისად. შოთა რუსთაველი ქართული აზროვნების მწვერვალია და დიად ქართულ წარსულის სახე, რომელსაც ახლებურად აცოცხლებს სტალინი. ახალი გარემოების შემქმნელი, ტონალობისა და მიმართულების მიმცემი საინტეგრაციო ფიგურა ქართველი - იოსებ სტალინია, რომლის პიროვნული როლი ძირითადად პასიურია, ანუ სტალინი თავადაა პროექციების საგანი, რომლის პიროვნული სიდიადე ქართველთა წარმოსახვაში მთელ საქართველოზე გადმოდის. თუმცა არც მისი უშუალო თანამონაწილეობაა დასავიწყებელი, რომელიც, როგორც ყველგან, ისე ამ სფეროშიც მიმართულებებსა და კონტურებს იძლევა. სტალინი ხდება ქართული ეროვნული იდენტობის ფაქტორი.

საკვანძო სიტყვები: ქართული იდენტობა, საბჭოთა ნარატივი, სტალინი

ლიტერატურა:

ასათიანი ლ., სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები. ნარკვევები“,თბ., 1954

ნიჟარაძე გაგა, ტოტალიტარიზმის ფსიქოლოგიური ბუნება; ჟურნალი „საზოგადოება და პოლიტიკა“, თბილისი 1999, №2

ნიჟარაძე გაგა, პოლემიკური შენიშვნები ქართულის კულტურის ზოგიერთ სოციალურ-ფსიქოლოგიურ საკითხებზე, კრებუულში „ჭკუა ვაისაგან“, თბ., 1994

ქვრივიშვილი მ., ქართველთა იდენტიურობის სტრუქტურები და იდენტიფიკაციის პროცესები XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე. ჟურნალი „ცივილიზაციური ძიებანი“, # 4. 2006

ჩხაიძე ი., კაკიტელაშვილი ქ., „ილია ჭავჭავაძე: ეროვნული ფიგურა როგორც მეხსიერების ადგილი

(1910-იანი – 1940-იანი წლები)“, კრებულში: მეხსიერების ადგილები და ქართული ნაციონალური იდენტობის სიმბოლური გარემო. შემდგენლები: სტივენ ჯონსი და მალხაზ თორია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილის 2022

Aleida Assmann and Linda Shortt. Memory and Political Change: Introduction. In Memory and Political Change. Edited by Aleida Assmann and Linda Shortt. Palgrave Macmillan, N.Y, 2012

Bourdieu Pierre L'identite et la representation, Actes de la recherche en sciences, Annee 1980, Volume 35, Numero 1 p63-72. Persee http://www.persee.fr

James V. Wertsch. Deep Memory and Narrative Templates: Conservative Forces in Collective Memory. In *Memory and Political Change*. Edited by Aleida Assmann and Linda Shortt. Palgrave Macmillan, N.Y, 2012

საბავშვო-საყმაწვილო ჟურნალ „დილა“, 1947 წ.#9

გაზეთი "პრავდა" 1937 წლის 26 დეკემბერი

Maia Kvrivishvili
Iv.Javakhishvili Tbilisi state University
Tbilisi, Georgia
E:mail: maia.kvrivishvili@tsu.ge
maiakvrivishvili@yahoo.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.43

The Face of Stalin in the Georgian "Soviet National" Narrative

Abstract

A great many works of fiction, prose or poetry, paintings and sculptures have been created about Joseph Stalin, many films have been made, and a number of historical works have been written. The vast majority of them were created during his own lifetime and, most likely, with Stalin's own interpretation.

For Stalin, promoting himself from a national perspective became a means of legitimization (for the benefit of Georgians. Author), which somehow suppressed the people's resistance to the occupation regime, of course, against the backdrop of repression. Stalin's name is associated with Ilia Chavchavadze, Iakob Gogebashvili and the mother tongue, as well as the Georgian language, Shota Rustaveli, the church, historical memory and the future (in general, communism is the future paradise that the leader promises to the people). Of course, all this is mythologized, and the narratives that make it uniquely Georgian are far from reality. In this process, both fiction and cinema, as well as painting, play a particularly active role.

The Georgian national narrative was connected to Stalin, and Stalin to the narratives of Russian Soviet identity, thus creating a kind of magical circle that played a negative role in the post-Soviet era. Georgian nationalism and identity, which originated in the 19th century, was founded by Ilia Chavchavadze. And during the Soviet period, it was transformed in accordance with the existing regime and leader. Shota Rustaveli is the pinnacle of Georgian thought and the face of the great Georgian past, which Stalin revived in a new way. The creator of the new environment, the integration figure who sets the tone and direction is a Georgian - Joseph Stalin, whose personal role is mainly passive, that is, Stalin himself is the subject of projections, whose personal greatness in the imagination of Georgians is transferred to the whole of Georgia. However, his direct participation should not be forgotten either, which, as everywhere, gives directions and contours in this area as well. Stalin becomes a factor of Georgian national identity.

Keywords: Georgian identity, Soviet narrative, Stalin